

საქართველოს კანონი

“საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ”
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №44) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 2

ამ კანონის მიზნებისათვის ცნებაში „თანამდებობის პირი“ იგულისხმებიან შემდეგი პირები: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები; საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი; საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი; საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი; საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელები; ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე, გამწვევი კომისიის რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტის, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების ხელმძღვანელები; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი; საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი; საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი; საქართველოს პრეზიდენტის

სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები; მოსამართლე; საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე; საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს, სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, სასჯელთა აღსრულებებისას კანონების დაცვაზე ზედამხედველი პროკურორი, საოლქო, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის პროკურორები; საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი“.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი